პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 26 (10723)
ხუთშაბათი
31
იანვარი
1957 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი დეკლარაცია (1-ლი და მე-2 გვერდი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივ დეკლარაციას (მე-2 გვერდი).

დარბაზობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან კ. ე. ვოროშილოვთან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად. ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის და ამხანაგ ა. ზაპოტოცკის სიტყვები (მე-2 გვერდი).

ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციების შეხვედრის შესახებ (მე-2 გვერდი).

მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი (მე-3 გვერდი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი (მე-3 გვერდი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი (მე-3 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი დეკლარაცია

1957 წლის 25-29 იანვარს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციასა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციას შორის, რომელიც სახელმწიფო ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ზ. საბაროვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ი. ტ. გრიშინი.

გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ა. გ. ზverევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. ს. პატოლიჩევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრმა ლ. თ. ილიჩოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგემ ა. ი. გორჩაკოვმა.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვილიამ შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმილ ლომსკი, ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი იოზეფ კისელი, სლოვაკიის რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშგლიკი.

გარდა ამისა, ჩეხოსლოვაკიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და გაზეთ „რუდე პრავოს“ მთავარი რედაქტორი ვლადიმერ კოუცკი, მინისტრის— ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ დვორჟაკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოთა განყოფილების გამგე იაროსლავ სიკორა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე მიროსლავ გალუშკა.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების მოლაპარაკების მსვლელობაში მომხდარი შეხვედრები და საუბრები მიმდინარეობდა უაღრესი გულახდილობის, ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

აზრთა გაზიარება ეხებოდა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების დიდმნიშვნელოვან საკითხებს და იმას, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი სოციალისტური ბანაკის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას ორივე სახელმწიფოს ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

I

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციებმა კმაყოფილებით აღნიშნეს სრული ერთსულოვნება იმ ამოცანების გაგებაში, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარეობენ. მხარეებს თავიანთ უმთავრეს მოვალეობად მიაჩნიათ ხელი შეუწყონ სოციალისტური ბანაკის ძალების ყოველი ღონისძიებით დარაზმვას მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე, სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებას ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის ლენინური პრინციპების შესაბამისად.

ორივე მხარე აღნიშნავს, რომ სოციალისტური სახელმწიფოები გაერთიანებული არიან ინტერესთა ერთობით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური პრინციპებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში შეხედულებათა ერთიანობით. ყოველივე ეს მტკიცე საფუძველია სოციალისტური სახელმწიფოების ყოველმხრივი, გულწრფელი და ძმური თანამშრომლობისა სოციალისტურ მშენებლობაში უანგარო ურთიერთდახმარების გასაწევად, საფუძველია მათი ურთიერთ თანამშრომლობისა უშიშროების და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის ასეთი ურთიერთობა საერთაშორისო ურთიერთობის სრულიად ახალი მაგალითია კაცობრიობის ისტორიაში. მას ვერ შეარყევს ის გარემოებაც, რომ ამ ურთიერთობის შექმნისა და განვითარების პროცესში იყო და არ შეიძლება არ ყოფილიყო სიძნელეები, გადაუჭრელი ამოცანები და ცალკეული შეცდომები.

სოციალიზმის მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპები საერთოა ყველა სოციალისტური ქვეყნისათვის, თუმცა ამ პრინციპების გამოყენება უდავოდ უნდა შეესაბამებოდეს ცალკეულ სახელმწიფოთა განვითარების კონკრეტულ პირობებს. ცალკეული სოციალისტური ქვეყნების ძირეულ ინტერესებსა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის ინტერესებს შორის სრული ერთიანობა არსებობს. სოციალისტურ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გაღრმავება და გაფართოება განამტკიცებს აგრეთვე ყოველი ცალკეული ქვეყნის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და უშიშროებას, ხელს უწყობს მათს აყვავებას და მათი ხალხების ცხოვრების დონის ამაღლებას.

საბჭოთა კავშირთან ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შედეგების შეფასებისას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ამ ურთიერთობის გამო განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირის თვით არსებობას, მის აქტიურ სამშვიდობო სოციალისტურ საგარეო პოლიტიკას და სოციალისტური ქვეყნებისადმი ძმურ დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საბალხოდემოკრატიული ქვეყნებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის. საბჭოთა კავშირმა, რომელსაც ხელი შეუწყო ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ სხვა ქვეყნების ხალხთა თავდადებულმა ბრძოლამ, დემოკრატიისა და თავისუფლების ძალების სასარგებლოდ შემოაბრუნა მეორე მსოფლიო ომის შედეგი, ხოლო მთელ რიგ სახელმწიფოებს შესაძლებლობა მიეცათ თვითონ გადაეწყვიტათ თავიანთი შემდგომი განვითარების საკითხი, თავიდან აეცილებინათ იმპერიალისტური ინტერვენცია. საბჭოთა კავშირის მაგალითი და მხარდაჭერა დაეხმარა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს მტკიცედ და გულდაჯერებით დასდგომოდნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. საბჭოთა კავშირი და მისი დიდი ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ბრძოლა, რომელშიც მასთან ერთად მტკიცედ მონაწილეობენ ჩინეთის დიდი სახალხო რესპუბლიკა და სოციალიზმის მთელი ბანაკი, ის მთავარი და ყველაზე დიდი დაბრკოლებაა, რომელიც დგას საერთაშორისო აგრესიული ძალების გეგმების განხორციელების გზაზე, არის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის უდიდესი იმედი. ჩეხოსლოვაკ ხალხს ფაშისტური ოკუპაციის წლებში და განთავისუფლების შემდეგ, სიძნელეთა და დაბრკოლებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ძნელ და სასიხარულო დროს, — საბჭოთა კავშირის სახით ყოველთვის ჰყავდა უერთგულესი მეგობარი, რომელსაც არასოდეს არ უღალატნია, არ მიუტოვებია, არასოდეს არ უთქვამს უარი ძმურ დახმარებაზე. ხალხი, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე ესოდენი დამცირება და შევიწროება განიცადა, რომელსაც საქმე ჰქონია ამდენ ცრუ მეგობართან, რომლებიც უაღრესად მძიმე წუთებში ღალატობდნენ მას, სულით და გულით აფასებს ესოდენ გულწრფელ და ნამდვილ მეგობრობას.

II

ორივე მხარე აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობების საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების კონსოლიდაცია მშვიდობისათვის ბრძოლაში, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობები ხელმძღვანელობენ ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემისა.

მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პრინციპებმა, რომლებსაც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, შემდგომი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. მსოფლიო განვითარებამ სავსებით დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის იმ დასკვნების ცხოველმყოფელობა და სისწორე, რომ ომი გარდუვალი არ არის. ჩვენი დროის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანი გახდა ის, რომ ყველა კონტინენტის ქვეყნების ხალხთა ფართო ფენები დაირაზმნენ მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად. მაგრამ იმპერიალისტურ წრეებს არა სურთ შეურიგდნენ ასეთ განვითარებას, ცდილობენ შეაფერხონ და უკუღმა დაატრიალონ იგი, ამწვავებენ საერთაშორისო დაძაბულობას, ახორციელებენ ახალ საშიშ ავანტიურებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს.

ახლა მსოფლიოს ხალხები კვლავ დადგნენ იმ საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების ფაქტის წინაშე, რომელიც გამოიწვია ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიულმა მოქმედებამ ეგვიპტის წინააღმდეგ, იმპერიალისტური წრეების ძირგამომთხრელმა საქმიანობამ, რომლებმაც მოაწყეს კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახალმა კოლონიზატორულმა გეგმებმა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ კონტრრევოლუციური ამბოხება უნგრეთში, შუა-გულ ევროპაში, იყო აგრესიული გარეშე და შინაური კონტრრევოლუციური ძალების ცდა მოეწყვიტათ უნგრეთი სოციალისტურ სახელმწიფოთა ოჯახისათვის, მოესპოთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, აღედგინათ უნგრეთში ფაშისტური დიქტატურა და გადაექციათ უნგრეთი სტრატეგიულად ხელსაყრელ პლაცდარმად სოციალისტურ ქვეყნებზე თავდასხმისათვის, პლაცდარმად ევროპაში ახალი ომის გაჩაღებისათვის. მაგრამ უნგრელი ხალხის ჯანსაღმა ძალებმა რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ჯარების დახმარებით, რომლებიც უნგრეთში იმყოფებიან ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად, აღკვეთეს სახალხო-დემოკრატიული წყობილებისა და უნგრელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა მოსპობის ცდები.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სრული სოლიდარობით ეკიდება იმ მოქმედებას, რასაც მიმართა საბჭოთა კავშირმა, რომელიც უნგრეთის მთავრობის თხოვნით დროულად დაეხმარა უნგრელ ხალხს და თავდადებით შეასრულა მოკავშირის მოვალეობა და ინტერნაციონალური ვალი.

ორივე მხარე, რომელნიც გადაჭრით უჭერენ მხარს უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას, გაუწევს მას დახმარებას სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცების საქმეში სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის დამოუკიდებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, მომავალშიც გამოვა გარეშე აგრესიული ძალების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ — ჩაერიონ უნგრეთის საშინაო საქმეებში.

უნგრეთის ამბები ერთხელ კიდევ აფრთხილებს სოციალისტურ სახელმწიფოებს, რომ საჭიროა დაიცვან სიფხიზლე. უნგრელი ხალხისათვის გაწეულმა დახმარებამ დაადასტურა ძალა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური პრინციპებისა, რომლებიც ხელმძღვანელ საწყისს წარმოადგენენ ყველა სოციალისტური ქვეყნისათვის და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ მათი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის.

ისევე, როგორც კონტრრევოლუციური ავანტიურა უნგრეთში, ჩაიფუშა იმპერიალისტური აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ეგვიპტელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის, აფრიკისა და აზიის ბევრი სახელმწიფოს მტკიცე პოზიციამ და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის გადამწყვეტმა პროტესტმა აიძულა ინგლისელი, ფრანგი და ისრაელი ინტერვენტები შეეწყვიტათ აგრესია ეგვიპტეში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დამარცხდა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო კოლონიური მონობის აღდგენა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხალხებს საფუძველი არა აქვთ შეანელონ თავიანთი ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამჟამად, როცა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციები საფუძვლიანად შეირყა, კონტრრევოლუციური პროგრამით, რომელსაც ეწოდება „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, სამხედრო აგრესიის გეგმებით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები. ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალი, სარგებლობს რა ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციების დასუსტებით, ცდილობს თავისი ბატონობა განამტკიცოს დედამიწის ამ ნაწილში, ჩაახშოს ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობა და კვლავ დაიმონოს არაბი ხალხები. ასეთი მოქმედება აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და კვლავ უქმნის საფრთხეს მშვიდობას და უშიშროებას დედამიწის ამ ნაწილსა და მთელ მსოფლიოში.

ეს ახალი იმპერიალისტური და კოლონიზატორული გეგმები იწვევენ კანონიერ გულისწყრომასა და პროტესტს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან ამ გეგმების წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის შედეგები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, ეგვიპტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უცხოელთა ჯარები არიან, ხოლო კოლონიური სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით უკვე სახავენ ახალ გეგმას, რომ შენარჩუნებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებული საგანგებო შეიარაღებული ძალების მიერ ეგვიპტის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია.

ხელმძღვანელობენ რა დიდი და პატარა ხალხების დამოუკიდებელი განვითარების უფლების აღიარებისა და პატივისცემის დიადი ლენინური პრინციპებით, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები მხარს უჭერენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მისწრაფებას ჩაშალონ კოლონიზატორთა ყველა „ძველი“ და „ახალი“ გეგმა, მხარს უჭერენ ამ ქვეყნების ხალხების მისწრაფებას განავითარონ თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრება, რომლის დროსაც ისინი თვითონ განაგებენ თავიანთ საქმეებს. ორივე მთავრობა დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებთან მათი ქვეყნების კავშირის შემდგომი გაღრმავება ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. მათ აგრეთვე მიაჩნიათ, რომ ეგვიპტის სამართლიანი მოთხოვნები, რომ სავსებით განთავისუფლდეს მისი ტერიტორია რომელიმე უცხო ჯარის ოკუპაციისაგან, აუნაზღაურონ მას ზარალი, რომელიც მან ნახა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიული მოქმედებით, დაკმაყოფილებულ უნდა იქნას, ხოლო აგრესიისა და ძალადობის ჩამდენნი უნდა დაისაჯონ.

ორივე მხარე აცხადებს, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე, რაიმე ისეთი პირობის დაუდებლად, რომელიც შელახავს ამა თუ იმ ქვეყნის სუვერენიტეტს.

III

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი განიარაღების საკითხებზე, რომელთა გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისათვის. ისინი მწუხარებით აღნიშნავენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა დღემდე არ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებებს განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მთავრობის 1956 წლის 17 ნოემბრის განცხადებაში. ეს წინადადებანი, ორივე მხარის რწმენით, ახალ შესაძლებლობებს ქმნიან განიარაღების საკითხზე შეთანხმების წარმატებით მიღწევისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სამხედრო ხარჯების მძიმე ტვირთისაგან ხალხების განთავისუფლებისათვის, ატომური ომის შიშისაგან განთავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობები მტკიცედ დარწმუნებული არიან, რომ შეთანხმებანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების, მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის, ევროპაში სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე დიდი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების არსებითი შემცირების შესახებ ხელს შეუწყობდნენ მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, სახელმწიფოებს შორის ნდობის განმტკიცებას. ეს, თავის მხრივ, გააადვილებდა მომწიფებული სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან მოწესრიგებას და შექმნიდა უფრო ხელსაყრელ პირობებს სხვადასხვა ეკონომიური და სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი გერმანიის საკითხზე და მივიდნენ იმ [illegible]ვნამდე, რომ პოლიტიკა, რომელსაც ამჟამად ახორციელებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები, არ უწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას.

ანგარიშს უწევს რა იმ გარემოებას, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მდებარეობს სოციალისტური ბანაკის ყველაზე დასავლეთ ნაწილში და უშუალოდ ესაზღვრება დასავლეთ გერმანიას, საბჭოთა კავშირი მთლიანად იზიარებს ჩეხოსლოვაკიის ხალხის შეშფოთებას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებასთან დაკავშირებით. იმპერიალისტები ცდილობენ დაჩქარებით შექმნან აგრესიული სამხედრო ძალები ევროპაში, რომელთა მთავარი დამკვრელი ძალა, მათი განზრახვით, უნდა იყოს, როგორც არაერთხელ ყოფილა ისტორიაში — გერმანიის მილიტარიზმი. თუ ბოლო დრომდე დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობდნენ აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი დაემშვიდებინათ იმით, რომ ჰპირდებოდნენ სხვადასხვა „გარანტიას“ გერმანიის შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ, ახლა ამ გარანტიებზე არათუ არ ლაპარაკობენ, არამედ ყოველნაირად უჭერენ მხარს რევანშისტულ მისწრაფებებს დასავლეთ გერმანიაში.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობები აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები იმეორებენ ისტორიის მწარე გამოცდილებას, რის შედეგად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებასთან დაკავშირებით, ამჟამად ევროპაში შექმნილი ვითარება ბევრ მხრივ მოგვაგონებს ვითარებას, რომელიც იყო მეორე მსოფლიო ომის წინ. ცნობილია, რომ იმ დროს, ამხედრებდნენ რა ჰიტლერულ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეები დაეხმარნენ იმპერიალისტურ გერმანიას სწრაფად აღედგინა თავისი სამხედრო პოტენციალი, რასაც მოჰყვა სამხედრო აგრესია გერმანიის იმპერიალიზმისა, რომელმაც გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი.

აშინებენ რა საზოგადოებრიობას ვითომდა საფრთხით საბჭოთა კავშირის მხრივ, იკეთებენ რა სოციალიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღაბს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მმართველმა წრეებმა დაუშვეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, აღადგინეს სამხედრო პოტენციალს, აიარაღებენ დასავლეთ გერმანიის არმიას მასობრივი მოსპობის იარაღით, თუმცა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ისინი უარყოფდნენ ასეთი გეგმების არსებობას. საქმე ისე შორს წავიდა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედროო ჯარების სარდლობა ევროპაში დააკისრეს ყოფილ ჰიტლერულ გენერლებსა და ოფიცრებს. ამავე დროს ამკარად ცდილობენ „ევრატომისა“ და „ერთიანი ბაზრის“ შექმნის გეგმების მიღებას, რასაც მოსდევს დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამორჩილება გერმანიის მონოპოლიების ეკონომიური ჰეგემონიისადმი, ამ ქვეყნების განიარაღება დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინაშე იმ მიზნით, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები გადაიქცნენ ევროპაში ახალი ომის მომზადების მორჩილ იარაღად.

ვერც საბჭოთა კავშირი, როგორც ქვეყანა, რომელმაც გადაიტანა ჰიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის ყველაზე მძიმე ტვირთი, ვერც ჩეხოსლოვაკია, რომელიც გახდა ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ნაცისტთა მისწრაფებისა მსოფლიო ბატონობისადმი, პასიურად ვერ მოეკიდებიან მოვლენათა ასეთ განვითარებას ევროპაში. ამიტომ მათ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ არა მარტო მოაწყონ ეფექტიანი თავდაცვა აღნიშნული რევანშისტული გეგმების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე განავითარონ ყოველმხრივი პოლიტიკური ღონისძიებანი იმისათვის, რომ ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებიც, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის მეზობლები, არ ეკიდებოდნენ გულგრილად საფრთხეს, რომელიც კვლავ ჩნდება მათს საზღვრებზე. ორივე მხარე აცხადებს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ განაცხადონ, რომ სავსებით იწონებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია გერმანული მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისაკენ. გერმანელი ხალხის ამ საერთო ეროვნული ამოცანის გადაჭრა მოითხოვს მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება ამჟამად არსებული ორი გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დასაახლოებლად.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის ყველაზე საიმედო გარანტია იქნებოდა ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნა. ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა შექმნიდა საჭირო პირობებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და ახალი ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იგი შეუძლებელს გახდიდა ყოველგვარ აგრესიას ევროპაში, ბოლოს მოუღებდა ისეთ მდგომარეობას, როცა ევროპა პერიოდულად განიცდის გამანადგურებელ ომებს აურაცხელი მსხვერპლით ევროპის ხალხებისათვის. სრულიად ევროპის უშიშროების სისტემა ხელს შეუწყობდა აგრეთვე გერმანიის საკითხის მოწესრიგებას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საფუძველზე, რითაც სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხები.

ითვალისწინებენ რა იმ გარემოებას, რომ დასავლეთის სახელმწიფოები გამუდმებით უარყოფენ საბჭოთა კავშირის წინადადებას სამხედრო დაჯგუფებათა ლიკვიდაციის შესახებ და არა სურთ აშკამად მოსპონ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. ორივე მხარის რწმენით, ვარშავის ხელშეკრულება, ევროპაში შექმნილი ვითარების პირობებში, ევროპის ხალხთა უშიშროებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მტკიცე გარანტიაა. სოციალისტური სახელმწიფოები ვერ დაუშვებენ მეორე მსოფლიო ომის წინაისტორიის გამეორებას, როცა გერმანელმა მილიტარისტებმა, ისარგებლეს რა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების წაყრუებითა და წაქეზებით, ზედიზედ მოუსპეს დამოუკიდებლობა ევროპის სახელმწიფოებს და დაანთეს მსოფლიო ომის ხანძარი. ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გახადოს ვარშავის ხელშეკრულება უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის ეფექტიანი იარაღი ყოველგვარი შემთხვევითობისა და მოულოდნელობის წინააღმდეგ. ეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის როგორც მთავრობების, ისე ხალხების მტკიცე რწმენაა.

IV

მოლაპარაკების მსვლელობაში ყოველმხრივ იქნა განხილული საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომლებიც გამომდინარეობენ ორივე ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებიდან, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხთა ურყევი მისწრაფებიდან განავითარონ და კიდევ უფრო გაუმჯობესონ ურთიერთ სასარგებლო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა და კულტურული კავშირი სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდ

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი დეკლარაცია

(დასასრული)

გობრობა, რომელიც დამკვიდრებულია ისტორიული ტრადიციით და განმტკიცებულია საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო შვილების სისხლით, რაც დაიღვარა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის სიმტკიცეს საფუძვლად უდევს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესების ერთობა, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის იდეებისა და მიზნების ერთობა, ღრმა ურთიერთ პატივისცემა და ნდობა. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები სათუთად გაუფრთხილდებიან და განამტკიცებენ საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხის მეგობრობას.

მოლაპარაკების დროს ყოველმხრივ იქნა განხილული საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხები. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობა ვითარდება თანასწორუფლებიანობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. ორივე მხარემ გადაწყვიტა კვლავაც ყოველი ღონისძიებით განავითაროს მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი შემდგომი თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მრეწველობის უფრო ფართო კოოპერირების მიმართულებით, რათა უფრო სრულად იქნას გამოყენებული არსებული საწარმოო სიმძლავრეები მანქანების, მოწყობილობისა და სხვა საქონლის გასაკეთებლად, რომლებიც ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობას სჭირდება.

ამ მიზნით ორივე მთავრობამ დაავალა თავის ეკონომიურ ორგანოებს მოამზადონ წინადადებანი ორივე ქვეყნის მრეწველობის კოოპერირების შესახებ, დადონ შესაბამისი შეთანხმებანი 1957 წლის განმავლობაში, ამასთან გაითვალისწინონ, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმების ურთიერთ კოორდინაცია და შრომის გეგმაშეწონილი სოციალისტური განაწილება ქვეყნებს შორის, რაც შეესაბამება ურთიერთმოთხოვნილებებს, საწარმოო ძალების განვითარების მაქსიმალური ტემპების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის განვითარდეს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თვითეული ქვეყნის ბუნებრივი, ეკონომიური პირობების, სამეურნეო შესაძლებლობებისა და ტრადიციების შესაბამისად.

მხარეები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობა იზრდება და მტკიცდება. უკანასკნელ 8 წელიწადში ურთიერთ საქონელგაცვლა თითქმის 4-ჯერ გადიდდა, ხოლო საბჭოთა კავშირის წილი ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობაში 1956 წელს შეადგენდა 30 პროცენტზე მეტს. ვაჭრობა ორივე ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლოა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის სტაბილობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის მკაფიო მაგალითია ამას წინათ დადებული შეთანხმება 1957 წელს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა სახეობის ნედლეულის, მოწყობილობისა და სხვა საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ. ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს 1957 წელს 1956 წელთან შედარებით საგარეო ვაჭრობის მოცულობა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის.

ამ შეთანხმების საფუძველზე საბჭოთა კავშირი 1957 წელს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას მიაწვდის მარცვლეულს, ქვანახშირს, რკინის მადანს, თუჯს, ფეროშენადნობებს, სპილენძს, ნიკელს, ნავთობს, კაუჩუკს, ბამბას, სხვადასხვა მანქანებსა და მოწყობილობას, სურსათსა და სხვა საქონელს.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირს მიაწვდის სამჭედლო-საწნეხე მოწყობილობას, ენერგომატარებლებს, საგლინავ მოწყობილობას, მოწყობილობას ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, ელმავლებს, თბომავლებს, ურანის მადანს, მილებს, შაქარს, შალის ქსოვილებს, ავეჯს, ფეხსაცმელსა და სხვა საქონელს.

დაკმაყოფილა რა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის სურვილი, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა 1957 წელს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას დამატებით მიაწოდოს მარცვლეული — 250 ათასი ტონა, ალუმინი — 9,5 ათასი ტონა, ფეროქრომი — 1,3 ათასი ტონა.

სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ვაჭრობის მოცულობის გადიდებასა და შემდგომ განვითარებასთან ერთად, მხარეები კვლავაც ყოველი ღონისძიებით განავითარებენ სავაჭრო ურთიერთობას ყველა სხვა ქვეყანასთან.

ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებელი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო შავი ლითონების წარმოების უფრო მნიშვნელოვანი გადიდების მიმართულებით თანამშრომლობაზე აზრთა გაზიარების შედეგად მხარეები შეთანხმდნენ უახლოეს წლებში გადიდდეს სსრ კავშირიდან ჩეხოსლოვაკიისათვის რკინის მადნის მიწოდება და თავიანთ ეკონომიურ ორგანოებს მიანდეს შეიმუშაონ წინადადებანი ამ საკითხზე და დადონ შესაბამისი შეთანხმებანი.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ფორმაა მეცნიერული, ტექნიკური და საწარმოო გამოცდილების ურთიერთ გაცვლა. ორივე ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის წლებში მოხდა კაპიტალური მშენებლობის სხვადასხვა პროექტის, მანქანებისა და მოწყობილობის ნახაზების, ტექნოლოგიური პროცესების აღწერის ფართო გაცვლა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნების სახალხო მეურნეობისათვის. მხარეებმა საჭიროდ ცნეს ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა კაცობრიობის საკეთილდღეოდ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებას, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში ფართო თანამშრომლობის შესახებ. მიღწეულია შეთანხმება, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა კვლავაც მიაწვდის საბჭოთა კავშირს ურანის მადანს, ამასთან მხარეები აცხადებენ, რომ ფასები, რომლებშიც ჩეხოსლოვაკია ურანის მადანს აძლევს საბჭოთა კავშირს, სამართლიანი, ურთიერთ სასარგებლოა და შესაძლებლობას იძლევიან შემდეგშიც წარმატებით განვითარდეს ამ ნედლეულის მოპოვება და გადამუშავება. მაგრამ საქმე მარტო ეკონომიური სარგებლობა როდია. ჩეხოსლოვაკმა ხალხმა კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირის ხელში ატომგულის ენერგია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი იარაღია საერთაშორისო აგრესიული ძალების მთელი ატომური მუქარისა და პროვოკაციების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის საჭირო მოწყობილობას, გაუწევს ტექნიკურ დახმარებას ატომის ელექტროსადგურის, ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტის მშენებლობაში და განახორციელებს ჩეხოსლოვაკიასთან მჭიდრო თანამშრომლობას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების პრობლემების დამუშავების დარგში. ატომგულის ფიზიკის დარგში თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის ერთობლივი განხორციელების უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, კვლავაც აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის მუშაობაში.

ორივე მხარემ აზრები გაუზიარა ერმანეთს და ურთიერთ თანხმობით მოაწესრიგა მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ურთიერთობას ეხება.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის კულტურის დარგში. ამას ხელს უწყობენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება და ოქმი კულტურული ურთიერთობის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი კავშირის შემდგომ განვითარებას.

* * *

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მოსკოვში მომხდარი მოლაპარაკება, აზრების მეგობრული და გულახდილი გაზიარება ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიას შორის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საკეთილდღეოდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ა. ბულგანინი

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე
ვილიამ შიროკი

მოსკოვი, 1957 წლის 29 იანვარი.

დარბაზობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან კ. ე. ვოროშილოვთან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა 29 იანვარს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა იმის გამო, რომ სსრ კავშირში სახელმწიფო ვიზიტით იმყოფება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი, მთავრობის თავმჯდომარე ვილიამ შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი— სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმირ ლომსკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იოზეფ კისელი, რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი, მრჩევლები და ექსპერტები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის თანმხლები პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სამინისტროების პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოთა და მისიათა თანამშრომლები, აგრეთვე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სტუმრებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ზაპოტოცკი!
ძვირფასო ამხანაგო შიროკი!
ძვირფასო ამხანაგო ნოვოტნი!
პატივცემულო ამხანაგებო — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის წევრებო!
ძვირფასო სტუმრებო! მეგობრებო!

დღეს ჩვენ კრემლში ვხვდებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტით.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ეს არის წარმატებით დააშთავრეს მოლაპარაკება და სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ მოლაპარაკებამ უაღრესად გულწრფელი და მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მოლაპარაკების შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული კარგი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ჩვენს მეგობრობას სახელოვანი ტრადიციები და მტკიცე საფუძვლები აქვს. იგი ეყრდნობა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინტერესების ერთიანობას, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ერთიანობას, იმას, რომ ორივე ქვეყანა თანმიმდევრულად ახორციელებს ერების სრული თანასწორუფლებიანობის და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპებს, აგრეთვე ფართო ურთიერთდახმარებას. ჩვენს ხალხებს მჭიდროდ აკავშირებს ბრძოლა იმპერიალისტების ვერაგული ხრიკების წინააღმდეგ, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკი ხალხების მეგობრობა მტკიცე და ურღვევია, და არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დაარღვიოს ეს ძმური მეგობრობა.

მოლაპარაკების დროს ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები საერთაშორისო ვითარების ყველა ძირითად საკითხზე და აღვნიშნეთ სრული ერთსულოვნება იმ ამოცანების გაგებაში, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარეობენ.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია, ისევე როგორც სხვა სოციალისტური ქვეყნები, მტკიცედ იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ ყველა სახელმწიფოს შორის დამყარდეს ურთიერთ ნდობისა და საქმიანი თანამშრომლობის ურთიერთობა. ჩვენი ქვეყნების საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება, მხურვალე თანაგრძნობითა და მხარდაჭერით ეკიდება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეს იზიდავს დედამიწის ყველა ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში.

მაგრამ ჩვენი ქვეყნების ფარგლებს გარეთ კიდევ არიან ძალები, რომლებიც, ისევე როგორც წინათ, ცდილობენ დაარღვიონ ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება, გამოიწვიონ ახალი მსოფლიო ომი. სწორედ ამას მოწმობს ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ და იმპერიალისტური წრეების ცდა, რომ პროვოკაციების საშუალებით მოეწყვიტათ უნგრეთი სოციალისტური ქვეყნების ერთსულოვანი ოჯახისათვის.

ამ საშიში ავანტიურების ჩაფუშვამ ვერ მოაშლევინა, სამწუხაროდ, მათს ორგანიზატორებსა და სულისჩამდგმელებს ახალი ნაბიჯები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ახლა ოკეანეს გაღმა აშკარად აცხადებენ გეგმებს, რომელთა მიზანია შუა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა დამონება და მათი ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობა. როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ დასავლეთ ევროპის, თურქეთის, ირანისა და იაპონიის ტერიტორიებზე განალაგონ თავიანთი სპეციალური დანიშნულების ატომური ჯარის ნაწილები.

აშკარაა, რომ მთელი ეს ხმაური, რაც ამერიკის წრეებმა და პრესამ ატეხეს, სხვა არა არის რა, თუ არ ის, რომ ისინი დაუბრუნდნენ გაკოტრებულ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას. იგი იწვევს დაძაბულობის გაძლიერებას არა მარტო შუა და ახლო აღმოსავლეთის რაიონში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

მშვიდობის საქმისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აგრეთვე გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, რაც ჩვენს თვალწინ ხდება. მშვიდობისმოყვარე ხალხების კანონიერ შეშფოთებას იწვევს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება და დასავლეთ გერმანიის არმიის უახლესი იარაღით, მათ შორის ატომური იარაღით აღჭურვა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა პარტნიორებმა დაივიწყეს ახლო წარსულის სავალალო გაკვეთილები და ცდილობენ გადააქციონ დასავლეთ გერმანიის არმია ატლანტიკის ბლოკის მთავარ დამკვრავ ძალად.

გასაგებია, რომ ამ პირობებში გულგრილი ვერ დარჩება ვერავინ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე და ხალხთა უშიშროება.

ახალი ომის გაჩაღება რომ არ დავუშვათ, — ხოლო მშვიდობის ძალები ამჟამად იმდენად დიდია, რომ მათ ძალუძთ ეს, — საჭიროა დავიცვათ სიფხიზლე და აქტიური წინააღმდეგობა გავუწიოთ რეაქციის ყველა ცდას — დაარღვიოს წარმატებითი მშვიდობიანი მშენებლობა ჩვენს ქვეყნებში და მშვიდობა ხალხთა შორის.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ წარმოუდგენია ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის გასაგები და მახლობელი წინადადებანი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღისა და მისი გამოცდის აკრძალვის, ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნის შესახებ და სხვა წინადადებანი. ჩვენი ქვეყანა კვლავაც შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური ქვეყნების ბანაკის ერთიანობის განმტკიცების საკითხს, რომელიც კაცობრიობის მესამედ ნაწილს აერთიანებს. სოციალისტური ქვეყნების ხალხთა დარაზმულობა და ერთსულოვნება მთავარი და მტკიცე დაბრკოლებაა ომის გამჩაღებელთა გზაზე. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციასთან განვლილმა მოლაპარაკებამ, აგრეთვე წინათ გამართულმა მოლაპარაკებამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებთან ცხადყო სრული გაგება სოციალიზმის ქვეყნების საერთო ამოცანებისა თანამედროვე ვითარებაში და დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მათი ერთიანობის განმტკიცებასა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცებაში.

ნება მიბოძეთ შემდგომი, კიდევ უფრო დიდი წარმატებანი ვუსურვო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში და აყვავება ვუსურვო ჩეხოსლოვაკ ხალხს.

ჩვენი ხალხების სამარადისო მეგობრობისათვის!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ძვირფას ამხანაგ ზაპოტოცკის, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ შიროკის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნოვოტნის!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის ყველა ხელმძღვანელ მოღვაწეს — ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წევრებს!

გაუმარჯოს სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნების ურღვევ ერთიანობას!

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

* * *

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ.

ამხანაგ ა. ზაპოტოცკის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო და მეგობრებო, ბატონებო!

უახლოეს საათებში ხელმოწერილ იქნება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც შეაჯამებს ჩვენი მეგობრული მოლაპარაკების შედეგებს. მე მინდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის სახელით აღვნიშნო (ისევე, როგორც ამხანაგმა ვოროშილოვმა), რომ მოლაპარაკების განმავლობაში ჩვენს შორის გამოვლინდა აზრთა სრული თანხმობა საერთაშორისო პოლიტიკის, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირთან ჩვენი მტკიცე ერთიანობა გამოხატულებაა ჩვენი საერთო მსოფლმხედველობისა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სწორი გამოყენებისა მშრომელი ხალხის სასარგებლოდ.

საჭიროა ითქვას, რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ინტერესები ჩვენი ქვეყნებისა, რომლებიც მსოფლიო სოციალისტურ სისტემას ეკუთვნიან, იდენტურია. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული ჩვენგანის წარმატება არის ყველას წარმატება, თვითეული ჩვენგანის წარუმატებლობასა და სიძნელეებს არ შეიძლება გულგრილად მოეკიდონ და ვერც მოეკიდებიან დანარჩენები.

ჩვენს პოლიტიკაში თანმიმდევრულად ვხელმძღვანელობთ ჩეხი და სლოვაკი ხალხების ინტერესებით. მაგრამ ეს ინტერესები არ ეწინააღმდეგებიან და არც შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა ხალხის და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, ისევე როგორც ისინი არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ ყველა სხვა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს. ეს ინტერესები ექვემდებარებიან ერთიან იდეას, ბრძოლას ყოველგვარი აგრესიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშრომელთა უკეთესი მომავლისათვის. ამიტომ ასე გვახარებს საბჭოთა კავშირის წარმატებანი საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლაში, ამიტომ გვახარებს სოციალისტური ბანაკის ყველა სხვა ქვეყნის მშრომელთა წარმატებები, ამიტომ გვახარებს ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ადამიანთა საზოგადოების პროგრესულ განვითარებას.

ნება მიბოძეთ შემდგომი წარმატებები ვუსურვო საბჭოთა ხალხსა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, მათს ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ნება მიბოძეთ ვადიდებდეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ვოროშილოვი, ვადიდებდეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ბულგანინი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ხრუშჩოვი.

* * *

ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვისა და ა. ზაპოტოცკის სიტყვებს დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ, რომელსაც ათას ხუთასამდე სტუმარი დაესწრო, განსაკუთრებული გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივ დეკლარაციას

29 იანვარს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივ დეკლარაციას.

დეკლარაციას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ვილიამ შიროკიმ.

ხელის მოწერას დაესწრნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. გ. ზვერევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი და სხვა ოფიციალური პირები.

ჩეხოსლოვაკიის მხრივ დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, მინისტრი — სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ინჟინერი ოტა შიმუნეკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი, მინისტრი — მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი ემანუელ შლეხტა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიჰარდ დვორჟაკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი იოზეფ პლოიგარი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ბოგუმირ ლომსკი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი იოზეფ კისელი, რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი, მრჩევლები და ექსპერტები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციის თანმხლები პირები.

ხელის მოწერას დაესწრო საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი. (საკდესი).

ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციების შეხვედრის შესახებ

1957 წლის 29 იანვარს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციების შეხვედრა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხანაგებმა მ. ა. სუსლოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ბ. არისტოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისაგან მონაწილეობას იღებდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები ა. ზაპოტოცკი, ვ. შიროკი, ვ. კოპეცკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. გენდრიხი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ამხანაგები ვ. დავიდი და ვ. კოუცკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ვ. სლავიკი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა, დელეგაციებმა განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. განხილვამ ცხადყო ორივე პარტიის წარმომადგენლების აზრთა სრული ერთიანობა ყველა აღძრულ საკითხზე.

დელეგაციებმა მიიღეს გადაწყვეტილება მომამზადონ და პრესაში გამოაქვეყნონ ერთობლივი განცხადება განხილულ საკითხებზე.

მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი.

30 იანვარს ლენინგრადის ვაგზალი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ფლაგშტოკებზე ფრიალებს ფინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები.

ფინეთის პრემიერ-მინისტრის შესახვედრად აქ მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. გ. ზverევი, სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის მინისტრი გ. მ. ორლოვი, გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე პრესის წარმომადგენელნი.

შემხვედრთა შორის არიან ფინეთის საელჩოს შემადგენლობა, საელჩოებისა და მისიების შეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, ფინელი ჟურნალისტები, რომლებიც პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ. 9 საათსა და 45 წუთზე მოდის „წითელი ისარი“. ვაგონიდან გამოდიან პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი და მისი თანმხლები პირები ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კ. კლეემოლა, ფინეთის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ე. ბ. ვუორი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი რ. ენკელი, პრემიერ-მინისტრის მდივანი კ. პიტსინკი.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი და საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე წასულნი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ვ. ზახაროვი და სხვა ოფიციალური პირები.

კ.-ა. ფაგერჰოლმა და ნ. ა. ბულგანინმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. მათ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს, რომელიც ჩამწკრივებული იყო ფინეთის პრემიერ-მინისტრის ჩამოსვლის პატივსაცემად. შესრულებულ იქნა ფინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

კ.-ა. ფაგერჰოლმი მიკროფონთან მიდის. იგი ამბობს:

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ჩამოვედი რა მოსკოვში როგორც თქვენი აღმატებულებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სტუმარი, ნება მიბოძეთ მთელ საბჭოთა კავშირსა და მის მთავრობას გადავცე ფინეთის მთავრობისა და მთელი ფინეთის გულითადი სალამი, აგრეთვე გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თქვენი თავაზიანი მოწვევისათვის. კმაყოფილებას მაგრძნობინებს უკვე ამ ვიზიტის დასაწყისში იმის აღნიშვნა, თუ რაოდენ კარგი და მტკიცე გახდა გასულ წლებში ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობა. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ჩვენი გრძელი სახელმწიფო საზღვარი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიანი რაიონია. ამ საზღვარზე ორივე მიმართულებით გადადის სულ უფრო მეტი ფინელი და საბჭოთა მოქალაქე, რომელთა მეგობრული ურთიერთობა მეორე ქვეყანასთან და მის მცხოვრებლებთან საკუთარი შეესაბამება იმ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ესოდენ ბედნიერად არსებობს ორივე სახელმწიფოს შორის. მეც ასე ჩამოვედი აქ, როგორც კარგი მეზობელი ჩემს კარგ მეზობლებთან.

ვიზიტი, რომელიც ახლა იწყება, შესაძლებლობას მომცემს გავიცნო თქვენი დედაქალაქი, მისი მხატვრული ცხოვრება, რომლის მაღალი დონე საყოველთაოდ აღიარებულია, ისევე როგორც გავიცნო მიღწევები მატერიალური კულტურის დარგში. მაგრამ უწინარეს ყოვლისა მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ ამ ვიზიტის დროს შესაძლებლობა მომეცემა შევხვდე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეებს და, ამრიგად, ჩემი მხრივ, შევინარჩუნო ის პირადი კონტაქტი ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში.

ნება მიბოძეთ აგრეთვე ვისარგებლო თქვენს დედაქალაქში ჩემი ყოფნის ამ პირველი წუთებით, რათა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ მუდმივი იქნება კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის ყოველ გარემოებაში.

სტუმრები სხდებიან მანქანებში. დედაქალაქის ასობით მცხოვრებნი, რომლებიც ვაგზლის მოედანზე შეიკრიბნენ, გულთბილად მიესალმებიან ფინეთის პრემიერ-მინისტრს. მანქანები სტუმრებიანად მიდიან ალმებითა და ტრანსპარანტებით მორთულ ქუჩებში. „დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობა!“ მეტყველებენ წარწერები რუსულ და ფინურ ენებზე. გულითადი სიტყვებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ხვდებიან საბჭოთა ადამიანები ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ კ.-ა. ფაგერჰოლმს. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი

30 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი და საუბარი ჰქონდა მასთან.

მიღებას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. სარიევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ვ. ზახაროვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი.

ფინეთის მხრივ მიღებას დაესწრნენ ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კ. კლეემოლა, ფინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი რ. ენკელი და პრემიერ-მინისტრის მდივანი კ. პიტსინკი.

მიღების დროს კ.-ა. ფაგერჰოლმმა კ. ე. ვოროშილოვს გადასცა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კეკონენის გულითადი მისალმება და ალბომი ფოტოსურათებისა, რომლებიც გაკეთებულია ფინეთში კ. ე. ვოროშილოვის ყოფნის დროს გასული წლის ზაფხულში. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი

30 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი კ.-ა. ფაგერჰოლმი.

მიღებას დაესწრნენ ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი კ. კლეემოლა, ფინეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ა. ვუორი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი რ. ენკელი, პრემიერ-მინისტრის მდივანი კ. პიტსინკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ვ. ზახაროვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი. (საკდესი).

გავაჩაღოთ შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად!



თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე მუშები გ. ბრუსნიცინი (მარცხნიდან) და ნ. კაზარიანი აწყობენ მილჩამოსაჭრელ ჩარხს, რომელიც ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკაში უნდა გაიგზავნოს. ისინი ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ზეგეგმითი პროდუქციისათვის

გორი. (საკ. კორ.). რუსთავის მეტალურგთა მიმართვას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ქალაქის მრეწველობის სიამაყე — ბამბეულის საფეიქრო ქსოვილების კომბინატი. აქ მოწვეულ კრებაზე, რომელიც ამ მიმართვის განხილვას მიეძღვნა, პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ოსტატის თანაშემწეებმა ს. ზუმბულიძემ, მ. გეორგიანმა, ი. კენჭუაშვილმა, მემანქანე ა. სამოილოვამ, მქსოველმა ლ. პასტუხოვამ და სხვებმა. მათ იკისრეს საწარმოო გეგმების 150-200 პროცენტით შესრულება.

გორელმა ფეიქრებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება რუსთავის მეტალურგთა მაგალითისამებრ ჩაებან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 10 ტონა ნარი, ხოლო წლის ბოლომდე — 12 ტონა; ამავე თარიღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 100 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი და 200 ათასი მეტრი მზა ქსოვილი, ხოლო წლის ბოლომდე — 120 ათასი მეტრი ხამი და 250 ათასი მეტრი მზა ქსოვილი; ამასთან მნიშვნელოვნად გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესონ ხარისხი.

გორელ ფეიქართა გადაწყვეტილებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის ისინი კვლავაც განაგრძობენ სოციალისტურ შეჯიბრებას ხერსონელ და ლენინაკანელ ფეიქრებთან.

წითელწყაროელთა მაგალითისამებრ

ბათუმი. (საკ. კორ.). სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს უფრო მეტად გამოიყენონ ადგილობრივი რეზერვები. წითელწყაროელთა მიმართვის გაცნობისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. სურმანიძემ განაცხადა:

— ურეხელი კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ენერგიულად იბრძვიან პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანების განსახორციელებლად. ჩვენმა კოლმეურნეებმა შარშან ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნაყოფის, აგრეთვე სიმინდის და სხვა კულტურების უხვი მოსავალი მიიყვანეს და მნიშვნელოვნად გაზარდეს არტელის ფულადი და ნატურალური შემოსავალი. მხარს ვუჭერთ წითელწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას და ვებმებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულებას ვკისრულობთ შემდგომ ავამაღლოთ ყველა კულტურის მოსავლიანობა, წელს თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ სულ ცოტა 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად შარშან მიღებული 5.106 კილოგრამისა, თვითეულ მანდარინის ხეზე მოვკრიფოთ 200 ცალი ნაყოფი, ანუ 135 ცალით მეტი, ვიდრე გასულ წელს, ხოლო სიმინდის მოსავალი ჰექტარზე საშუალოდ ავიყვანოთ 23 ცენტნერამდე.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს კოლმეურნეობის ბრიგადირმა ა. დიასამიძემ, მეჩაიეებმა ხ. ქადიძემ, გ. ფარტენაძემ, ფ. ბოლქვაძემ და სხვ.

წითელწყაროელ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მოწოდებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ აგრეთვე მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის, ჩაისუბნის სტალინის სახელობის, წინსვლის ტელმანის სახელობის და სხვა კოლმეურნეობების წევრები.

მეგაღუარგთა თაოსნობას იწონებენ

ტყვარჩელი. (ტელეფონით საკ. კორ.). ტყვარჩელის შახტებში და საწარმოებში ეწყობა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებები რუსთავის მეტალურგების მიმართვის განსახილველად. მეტალურგების თაოსნობა საერთო მოწონებასა და მხარდაჭერას იწვევს. ტყვარჩელელები ენთუზიაზმით ებმებიან დიადი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მეხუთე შახტის კოლექტივმა, განიხილა რა მეტალურგთა მოწოდება, გადაწყვიტა 7 ნოემბრისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 3.500 ტონა ქვანახშირი, ხოლო წლის ბოლოსათვის — 4.000 ტონა. მეშახტეებმა ამასთან იკისრეს გააძლიერონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპი, ამ მხრივ წლიური დავალება 105 პროცენტით შეასრულონ, შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულზე მეტად აამაღლონ 1 პროცენტით, ქვანახშირის ნაცრიანობა შეამცირონ 0,1 პროცენტის გადამეტებით და ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიიღონ სულ ცოტა 200 ათასი მანეთი იკონომია.

მეხუთე შახტის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ახალციხექვანახშირის პირველი შახტის კოლექტივი.

სამშობლოს საკეთილდღეოდ

დუშეთი. (საკ. კორ.). სოფელ საშაბუროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში შეკრებილი კოლმეურნეები ინტერესით გაეცნენ წითელწყაროს რაიონის მშრომელთა მიმართვას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

— ჩვენ არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს, — განაცხადა მოწინავე მწველავმა ს. მოლოდინმა. — მე ვუვლი 14 ძროხას და გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთზე მივიღე 1.800 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამისა. წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად ვკისრულობ მომდინარე სამეურნეო წელს თვითეულ ძროხაზე წველადობა ავიყვანო 2.200 კილოგრამამდე.

მწველავმა სოფიო მელაძემ ვალდებულება იკისრა გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამის ნაცვლად თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 2.000 კილოგრამი რძე.

სამშაბუროელების ვალდებულებაა: გასულ წელთან შედარებით რძის წარმოება გაადიდონ 30 პროცენტით და მნიშვნელოვნად შეამცირონ რძის თვითღირებულება, ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის დაამთავრონ მეძროხეობის ფერმის სრული მექანიზაცია და სოფლის ელექტროფიკაცია, ააგონ მექანიზებული საღორე, გაასუქონ 70 ღორი, აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ საგაზაფხულო კულტურების თესვა, მიიღონ ხორბლის, სიმინდის და სხვა კულტურების უხვი მოსავალი.

სწავლობენ ვაჭრობის ეკონომიკას

სემინარის ერთ მეცადინეობაზე

არ შეიძლება საუბარმა არ მიიზიდოს კაცი, თუ მასში გამოსჭვივის თემის ღრმა ცოდნა, თუ მასში ლაპარაკია მსმენელთათვის მახლობელ და საინტერესო საკითხებზე.

...მიმდინარეობს საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოებების რესპუბლიკური კავშირის (ცეკავშირის) პარტორგანიზაციასთან არსებული ვაჭრობის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მეცადინეობა (სემინარის ხელმძღვანელი ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, სავაჭრო სამმართველოს უფროსი ამხ. მ. წვერავა). მომხსენებელი, ცეკავშირის სავაჭრო სამმართველოს კულტსაქონლის განყოფილების საქონელმცოდნე ამხ. გ. გოგეშვილი საქმიანად ელაპარაკება მსმენელთ. თემაც სერიოზული და საინტერესოა — „საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვა რაიონებში (ცეკავშირის თბილისს უნივერსალური ბაზის მიხედვით)“.

შეკრებილნი გულდასმით უგდებენ ყურს მომხსენებელს.

ამხ. გოგეშვილმა თავისი მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ ვაჭრობის მუშაკების წინაშე დასახულ ამოცანებს დაუკავშირა.

— ამხანაგებო, — თქვა მან, — სკკპ XX ყრილობის დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გვავალებს საბჭოთა მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის ყოველმხრივ დავაჩქაროთ სავაჭრო ქსელში საქონლის მიმოქცევა. ეს მიღწეული იქნება სავაჭრო ქსელში საქონლის შეზიდვის პროგრესული, ცენტრალიზებული წესის დანერგვით.

— საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვა მოითხოვს, — ამბობს მომხსენებელი, — რომ რაიკოოპკავშირებმა და რაიკოოპერატივებმა სწორად, მომხმარებლის მოთხოვნილების გათვალისწინებით შეადგინონ განაცხადები და თვეების, კვარტალების მიხედვით წარუდგინონ იგი უნივერსალურ ბაზას. ბაზა ადგენს გრაფიკს და ძირითადად განაცხადებზე დაყრდნობით აწარმოებს საქონლის შეზიდვას.

ამხ. გოგეშვილი მსმენელებს მოუთხრობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წესის დანერგვაში მიმწოდებელი ბაზების მუშაობას. ბაზების მოვალეობაა არა ის, რომ მარტო საქონლით ამარაგებდნენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს, არამედ ისიც, რომ განაზოგადებდნენ რაიონის მოთხოვნილებას მისი სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით და ამის შესახებ საკითხს აყენებდნენ მწარმოებელი ორგანიზაციების წინაშე.

ცეკავშირის თბილისის უნივერსალური ბაზის მთელი მომსახურე პერსონალი დაძაბულად შრომობს საქონლის დროული შემოზიდვისა და რეალიზაციისათვის, იყენებს ახლებურ, პროგრესულ მეთოდს — რაიონებში საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით შეფერხებებს.

— რა არის იმის მიზეზი, რომ საქონლის შეზიდვის ცენტრალიზებული წესი სავაჭრო ქსელში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დანერგილი? — აყენებს კითხვას მომხსენებელი და განაგრძობს:

— მას შემდეგ, რაც ცეკავშირის უნივერსალური ბაზა ჩამოყალიბდა, საქონელბრუნვა დიადად გაიზარდა, საქონლის ასორტიმენტი გაფართოვდა, ხოლო ბაზის არატიპიური შენობა — თერმეტი საწყობითა და პატარა საწყობო მოედნით — სრულებით არ არის საკმარისი არსებული საბითუმო ბრუნვისათვის. გარდა იმისა, რომ ბაზაში რკინიგზის ხაზი არ შედის, სექციები მოუხერხებლად არის განლაგებული და საქონლის დასაწყობად და ასარჩევად ადგილი არ რჩება.

საქონლის შეზიდვაში დიდი მნიშვნელობა აქვს ავტოკონტეინერების გამოყენებას. უნივერსალურ ბაზას დღეში სჭირდება 8-10 კონტეინერი, სინამდვილეში მუშაობს 3-4. არის შემთხვევები, როცა ავტოკონტეინერები დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. მაშინ როცა ავტოკონტეინერებით საქონლის ცენტრალიზებული შეზიდვა 100 პროცენტით უნდა სრულდებოდეს, ამჟამად იგი საერთო შეზიდვის ხოლოდ 35 პროცენტს შეადგენს, ხოლო ზოგიერთ რაიონში მთელი წლის განმავლობაში არ შეუხიდავთ საქონელი ავტოკონტეინერებით. ბაზა ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ რაიონებიდან ზოგ შემთხვევაში განაცხადები არ არის წარმოდგენილი. მაგრამ ეს არ არის გასამართლებელი საბუთი, რადგან ცეკავშირის გამგეობამ და სავაჭრო სამმართველომ დაავალეს ბაზას, რომ ასეთ შემთხვევაში მან აცნობოს, მისწეროს, დაურეკოს რაიკოოპკავშირებსა და კოოპერატივებს საქონლის შეზიდვის შესახებ.

რაიონებს საქონლის შესატანად გამოყოფილი აქვთ კვირაში ორი დღე. მაგალითად, მარნეულის რაიკოოპკავშირი საქონელს იღებს სამშაბათს და პარასკევს. ამხ. გოგეშვილი მიდის კედელზე გაკრულ დიაგრამებთან და მსმენელებს ყურადღებას მიაქცევს იმ რაიონების აღნიშვნებს, რომლებშიც ხორციელდება საქონლის შეზიდვა ცენტრალიზებული წესით, ამასთან აცნობს ცენტრალური უნივერსალური ბაზის მუშაობის გრაფიკს დღეების მიხედვით.

მომხსენებელი ამის შემდეგ მსმენელებს აცნობს, თუ როგორ ახორციელებენ საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვას „გლავკომუნტორგის“ და „გლავტორგოდიოჟდას“ ბაზები. მომხსენებელი ლაპარაკობს საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვის უპირატესობაზე და მოჰყავს ფაქტები, თუ როგორ აჩქარებს იგი საქონელბრუნვას.

— ყველა ჩვენგანმა, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ სრულყოფილად დავნერგოთ საქონლის შეზიდვის პროგრესული წესი სავაჭრო ქსელში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაჩაღდა კამათი.

— მოხსენებაში, — თქვა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საკომისიო ვაჭრობის განყოფილების უფროსმა ამხ. ვ. ავალიანმა, — მკაფიოდ არ იყო აღნიშნული საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვის მიზანი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რაიონებიდან საქონლის წასაღებად არ უნდა ჩამოდიოდნენ წარმომადგენლები. ამ წესის პროგრესული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ იგი ათავისუფლებს ვაჭრობის მუშაკებს მიმწოდებელ ბაზაში წასვლისაგან და ამით იძლევა შესაძლებლობას მთელი ყურადღება გადატანილ იქნას მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესებაზე.

საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. ი. პავლოვამ ილაპარაკა საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვის ეფექტიანობაზე.

საბჭოთა მეურნეობებში ვაჭრობის განყოფილების საქონელმცოდნემ ამხ. ე. კევლიშვილმა დააყენა საკითხი, რომ ეკეთ იქნას გათვალისწინებული რაიონების სპეციფიკა.

— რაიონებს ზოგჯერ ისეთ საქონელს უგზავნიან, რომელიც მას სრულებით არ სჭირდება, — თქვა მან, — ეს იწვევს საქონლის ჩაწოლას. ამას ემატება მაღაზიაში საქონლის სეზონური სპეციფიკის გაუთვალისწინებლობაც.

დამზადების სამმართველოს მეცხოველეობის პროდუქტების განყოფილების უფროსმა ამხ. გ. სართანიამ აღნიშნა: უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ რაიონებში საქონლის შეზიდვისას მიმწოდებელ და მომხმარებელ ორგანიზაციებს შორის არსებულ ზედმეტ შუალედ რგოლებს გვერდი ავუაროთ. საქონელი უნდა შევზიდოთ უშუალოდ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მაღაზიებში.

საინტერესო საკითხები დააყენეს კომუნისტებმა დ. ორაგველიძემ, ე. ჯოხიძემ და სხვა ამხანაგებმა.

მეცადინეობა შეაჯამა სემინარის ხელმძღვანელმა ამხ. მ. წვერავამ.

— მომხსენებელს, — თქვა მან, — მონდომებით დაუმუშავებია თემა. რაც შეეხება სემინარის მსმენელების მიერ საწყობის თაობაზე გამოთქმულ სამართლიან საყვედურებს, ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მომდინარე წელს გათვალისწინებულია ახალი საწყობის აშენება რკინიგზის ახლოს, ტექნიკის უახლესი მიღწევების მიხედვით. მართალია, ეს შემდეგში გარდატეხას მოახდენს რაიონებში საქონლის შეზიდვის მოწესრიგებაზე, მაგრამ ამოცანა ის არის, რომ მანამდეც გავართვათ თავი და პირნათლად შევასრულოთ ყველა სახელმწიფოებრივი დავალება.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით აქ სხვა საინტერესო საკითხებიც დააყენეს ამხანაგებმა. საგსებით სწორად თქვა ამხ. ავალიანმა, რომ კარგად შედგენილ შეკვეთას, განაცხადს თან არ უნდა მიჰყვებოდეს მუშაკი, ეს ამცირებს საქონლის ცენტრალიზებული წესით შეზიდვის ეკონომიურ ეფექტს.

შემდეგ სემინარის ხელმძღვანელმა მსმენელებს დასამუშავებლად მისცა ახალი თემა — „მომხმარებელთა მოთხოვნილების შესწავლა, მყიდველობითი ფონდების გამორკვევა“. მან განმარტა ამ თემის არსებითი საკითხები, ილაპარაკა, თუ რას უნდა მიექცეს ყურადღება საკითხის შესწავლის დროს, ამავე დროს მიუთითა სათანადო ლიტერატურაზე. შერჩეულ იქნენ მომხსენებლები — სემინარის მსმენელები, საქკოოპსამშენვაჭრობის დირექტორის მოადგილე ე. ბაქრაძე, საქკოოპსამშენვაჭრობის საქონელმცოდნე დ. ნემსაძე და გ. სართანია.

— სამწუხაროდ, იძულებული ვარ, ამხანაგებო, — განაცხადა მეცადინეობის დასასრულ სემინარის ხელმძღვანელმა, — თქვენი ყურადღება კვლავ სემინარის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს მივაქციო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ სემინარში გაერთიანებულია 27 კაცი, დღეს კი მეცადინეობაზე ზოგიერთი არ გამოცხადდა. ვფიქრობ, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ხელაშვილი გამოარკვევს ამის მიზეზს. გარდა ამისა, დღეგანდელი მეცადინეობა ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო. ვიმედოვნებ მომავალში ეს არ განმეორდება.

...ასე საქმიანად, ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითების ანალიზსა და განზოგადებაზე დაყრდნობით მოეწყო ცეკავშირის პარტორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მორიგი მეცადინეობა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სემინარის მსმენელთა მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხელს შეუწყობს არა მარტო მათი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებას, არამედ ახალი, პროგრესული წინადადებების დანერგვასაც სავაჭრო ქსელში.

გ. მარუაშვილი.

უნგრეთი აღმავლობის გზაზე

დღითიდღე უმჯობესდება უნგრელ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. ინტენსიურად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები ბუდაპეშტის იმ რაიონებში, სადაც ფაშისტ-ჰორტიტ ბანდიტთა შეიარაღებული წინააღმდეგობის ძირითადი კერები იყო. სისტემატურად უმჯობესდება სამრეწველო საწარმოების, კომუნალური დაწესებულებების, რკინიგზების მუშაობა. წარმატებით გრძელდება დაზარალებულ დაწესებულებათა აღდგენა.

ბუდაპეშტის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა განუხრელად ზრდის წარმოების ტემპებს. ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში ნორმალური მუშაობა მიმდინარეობს. „ნეფხაბადშაგის“ ცნობით 21 დეკემბერს მოპოვებულ იქნა 28.960 ტონა ქვანახშირი, 3 იანვარს — 34.783 ტონა, 9 იანვარს — 44.470 ტონა, ხოლო 13 იანვარს — 47.720 ტონა.

სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება უნგრეთის კულტურული ცხოვრება. ამჟამად ბუდაპეშტში უკვე მუშაობს კინოთეატრების 90 პროცენტზე მეტი. ნორმალური ხდება უნგრეთის დრამატული და მუსიკალური თეატრების მუშაობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს უნგრეთის ცხოვრების ნორმალიზაციისათვის სოციალისტური ქვეყნების ძმურ დახმარებას. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მათ დიდი მატერიალური და ფულადი დახმარება გაუწიეს უნგრეთს.

* * *

სურათზე: ბუდაპეშტის ვაგონმშენებელი ქარხნის „ჰან